# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 76

„5" მარტი 2021 ც

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა №24-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.022.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^{1}$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა №24-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.022.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 თებერვლის №21.211.247 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა №24-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.12.022.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ახვლედიანი

დანართი №1

ქ.თბილისი, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა №24

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი (კვ.მ.) | სართული | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხეილ ყელბერაშვილი | 01002028935 | 45,76 | სართული 1 | 01.17.12.022.002.23.503 |
| 2 | ვახტანგი ჭიაბრიშვილი | 01022010870 | 73,98 | სართული 2 | 01.17.12.022.002.23.504 |
| 3 | რევაზი დარბაიშვილი | 01001056940 | 73,09 | სართული 2 (შენობა №23) | 01.17.12.022.002.23.501 |